R. Lordkipanidze, D. Chlaidze, N. Stepnadze,

S. Ebrelidze, M. Lordkipanidze, S. Lordkipanidze

About Priorities of Management



Tbilisi

Philanthropic Research Academy named after Economist A. Gunia

for the Digital Library of the Parliament Georgia

2018

The authors of this work discussed in detail the methods of the United Nations Industrial Development Organization and the European Bank for Reconstruction and Development and, taking into account local specifications, propose main priorities of management.

Dedicated to modern economic reforms and essentially better life of a human

Edited and Reviewed in the Academy named after Economist A. Gunia

About Priorities of Management

In our researches [3-5], course of lectures and practical exercises, for development of business plans at a professional level, we - the authors of this work discussed in detail the methods of the United Nations Industrial Development Organization [1] and the European Bank for Reconstruction and Development [2] and, taking into account local specifications, we propose priorities of conclusions:

1) with the development of international technical means of communication, it is necessary active caring (but not forcible) participation of the state in the most urgent priorities of employment, demography, security, medicine, etc.

2) we think, that healthy food with environmentally clean technologies is also main priority in modern conditions;

3) a sedentary lifestyle necessitates the development of mass sports and tourism with the family business of the tourist-recreational sphere;

4) improving the training of professional managers, especially in skills in creative vision of the strategy, working out of business plans, organizing of economic analysis and calculation of efficiency.

В наших нучных трудах и в ходе лекций и практических занятий по разработке бизнес-планов на профессиональном уровне, мы - авторы представленного труда подробно обсудили методы Европейского Банка Реконструкции и Развития и Организации Объединенных Наций по Промышленному Развитию и, учитывая местную специфику, предлагаем приоритеты выводов:

1) с развитием международных технических средств связи, необходимо, активное (но не насильственное) участие государства по самых неотложным приоритетам занятости, демографии, безопасности, медицины и т. д.

2) мы считаем, что здоровая пища с экологически чистыми технологиями также является главным приоритетом в современных условиях;

3) сидячий образ жизни требует развитие массового спорта и туризма с семейным бизнесом туристско-рекреационной сферы;

4) становится необходимым улучшение подготовки профессиональных менеджеров, особенно, в навыках творческого видения стратегии, разработки бизнес-планов, экономического анализа и расчета эффективности.

ჩვენს სამეცნიერო შრომებში, ლექციებსა და პრაქტიკულ სემინარებზე, პროფესიული დონის ბიზნეს-გეგმების შემუშავებისათვის, შრომის ავტორებმა დეტალურად განვიხილეთ გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეთოდები და, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ, ჩვენი აზრით, მთავარი სადღეისო პრიორიტეტები:

1) საერთაშორისო კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების განვითარებესთან ერთად, საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მზრუნველი (მაგრამ არა იძულებითი) მონაწილეობა დასაქმების, დემოგრაფიის, უსაფრთხოების, მედიცინისა და სხვა გადაუდებულ პრიორიტეტებში, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

2) ვფიქრობთ, რომ ჯანსაღი საკვები, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებით, ასევე არის უმთავრესი პრიორიტეტი თანამედროვე პირობებში;

3) ჯდომითი ცხოვრების წესი მასობრივი სპორტისა და ტურიზმის განვითარების აუცილებლობას განაპირობებს, ტურისტულ-რეკრეაციული სფეროს ოჯახურ ბიზნესთან ერთად;

4) მეტად აუცილებელი ხდება პროფესიული მენეჯერების მომზადება, განსაკუთრებით სტრატეგიის შემოქმედებითი ხედვის, ბიზნეს-გეგმების შემუშავების, ეკონომიკური ანალიზისა და ეფექტიანობის გაანგარიშების მიმართულებებით.

საგულისხმოა, რომ ობიექტური (სამართლიანი) კონკურენტული მექანიზმების მოქმედებისას, მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები მეტად და მეტად ქმედითი (ეფექტიანი) ხდება და განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება შედეგად მიღებული მზარდი შემოსავლების სამართლიანი განაწილებაც პრაქტიკაში, რამაც არსებითად უნდა შეამციროს სიღარიბის გაუგებარი პოლარიზება, ამასთანავე, ადამიანების ჯანდაცვით და საგანმანათლებლო სფეროებს საბიუჯეტო ხელშეწყობა უნდა გაეზარდოთ იმ მიზანშეწონილი ზღვარის ფარგლებში, როცა ეფექტიანობას სახიფათო ზიანი არ მიადგება. ამ მხრივ, საყოველთაო ჯანდაცვის მაგალითი თანამედროვე საქართველოში ნამდვილად სამაგალითოა და მომავალში მის საყოველთაო ხელშეწყობაზე უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფო ფინანსირებისა და კერძო დაზღვევის ინსტიტუტების მრავალფეროვანი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, თანამედროვე გერმანია, რუსეთი, იაპონია) მოხმობის კონტექსტში.

გამომდინარე ზემოხსენებულიდან, დაიბადა და პროფესიული და სოციალური ქსელების დახმარებით, კვლავ შევასრულეთ იდეა, რომ გამოქვეყნებულიყო ელექტრონულ სამეცნიერო პუბლიკაციად (ერთიანი სტრატეგიის განმაპირობებელი პრინციპებისა და პოზიციების სახით) უძველესი სახელმწიფოებრიობის (მ.შ. წარმატებული პერიოდებით) საქართველოს უნივერსიტეტებში ხსენებული საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ნიჭიერად მოაზროვნე სტუდენტების მიერ მომზადებული შესაძლოდ შემჭიდროვებული ინფორმაციები (ძირითადად, საზღვარგარეთელი და ქართველი ავტორების წიგნების, შრომებისა და ინტერნეტწყაროების განზოგადებები და დაწყებითი ხასიათის მეცნიერული კვლევების დასკვნები) უახლოეს მომავალში ეფექტიანი რეალიზებისათვის. ბუნებრივია, ახალგაზრდა მკვლევარების ხსენებული ინფორმაციები მომავალში კორექტირებასა და

განვითარებას საჭიროებს და, მკითხველის უდიდესი პატივისცემით, მოხარული ვიქნებით საქმიანი შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

პროფესიონალი მენეჯერი, როგორც ბრძენი სტრატეგი, გონივრულად შორსმხედველი უნდა იყოს და დაგეგმვის, ორგანიზებისა და მონიტორინგის თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ ჩვევებს (ხელოვნებას) მაქსიმალურად შედეგიანად (ხარისხიანად, სწრაფად და შესაძლო მინიმალური დანახარჯებით) უნდა ფლობდეს, შესაბამისად, გლობალიზებისა და ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მხოლოდ მუდმივად განახლებადი (ორიგინალური) კეთილსინდისიერი მიდგომებით შეიძლება აღწევდეს კონკურენტულ უპირატესობას.

გლობალიზების ერაში, მეტწილად ჩაკეტილი ლოკალური ბიზნესის მოქმედების არეალი თანდათან ქრება, ვინაიდან, ინტერნეტმა მსოფლიო ბაზარი ერთიან დიდ ორგანიზმად აქცია და საერთაშორისო კონკურენცია (მ.შ., ბუნებრივია, არაკეთილსინდისიერიც) დედამიწის ყველა წერტილში აღწევს. თუ ლოკალური ბაზრების პირობებში არაპროფესიონალიზმი და ე.წ. ჩაწყობა–ნაცნობობა გარკვეულწილად "ჭრიდა" მართვაშიც, ამჯერად, ორდინარული არაპროფესიონალიზმი მენეჯმენტში სულ უფრო მნიშვნელოვან ფუჭ დანაკარგებსა და საერთო ჩამორჩენას დაუკავშირდება.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ურთიერთობების მართვის ხელოვნებაც, რომელიც მარკეტინგად იწოდება და რომელმაც, მენეჯერი–სტრატეგის საჭირო ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისათვის, თითქმის სინათლის სიჩქარით უნდა შეიტანოს სიცხადე მატერიალურ–ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის (მომსახურების) რეალიზების სულ უფრო მრავალწახნაგოვან პროცესებში.

ჯერ კიდევ ადამ სმითი იკვლევდა ხალხთა სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებს და მას შემდეგ ამ საკითხებზე ძალზე ბევრი სხვასაც უფიქრია, მაგრამ გლობალიზების ეპოქამ ახალი გარემოებების წინაშე დაგვაყენა, რაზეც განსაკუთრებით უნდა

დავფიქრდეთ. ტექნიკურ პროგრესთან ერთად, სიმდიდრე გროვდება, მაგრამ სიღარიბე შესაბამისად არ იკლებს, რაც ფარული „საერთაშორისო“ მონოპოლიებისა და დიქტატორული რეჟიმების დაბრკოლებებით არის განაპირობებული. გლობალიზების უპირეტასობათა მართებულად გამოყენებამ საშუალება უნდა მოგვცეს წავშალოთ ეს საზღვრები და გადაჭარბებულად ბიუროკრატიული ბარიერები და ვიზრუნოთ არა ელიტარული დიქტატორული რეჟიმების, არამედ ყოველი ადამიანის გამდიდრებისათვის.

მსოფლიოს დარგობრივი სტრუქტურა საკმარისად სრულყოფილია რეგიონულთან შედარებით (რაშიც მათემატიკური ალგორითმებიც გვარწმუნებს), ამდენად, მთავარია, გლობალიზებამ მაქსიმალურად შეამციროს რეგიონალური განსხვავებანი და, თუ მოხერხდება, რომ ღარიბი რეგიონები არ გვყავდეს, დარგობრივი სტრუქტურაც უფრო სრულყოფილი იქნება.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, რომ არაკეთილსინდისიერ მიდრეკილებებს არამხოლოდ გავლენიანი მონოპოლიები ავლენს. ბოროტი მომხვეჭელობისადმი მიჯაჭვულობას, როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ადამიანი შეიძლება ავლენდეს და, ამდენად, გლობალიზების ეპოქაში გვეძლევა საშუალება და ანტიმონოპოლიური მექანიზმი საყოველთაოდ უნდა ამოქმედდეს.

გლობალიზების ეპოქის ერთიანი ბაზრის ყოველი მონაწილე სუბიექტისადმი მოთხოვნებიც არსებითად გაიზრდება და, შედეგად, სიცოცხლის ხარისხიც არსებითად და მასიურად უნდა გაუმჯობესდეს.

მე–20 საუკუნიდან, ქეინზი და ქეინზიანელები (ჰაროდი, ფილიფსი, ჰიქსი). მათ კვალში მონეტარისტები (ბრუნერი, ფრიდმანი, შვარცი) და თეთრი სახლის თანამედროვე მარეგულირებელი რეფორმების მომხრეები კიდევ უფრო კარგად აცნობიერებენ კაპიტალისტური ურთიერთობების უმძიმეს ციკლურ წინააღმდეგობებს, მაგრამ, მარქსისტული ათეიზმისაგან განსხვავებით, უტოპიურ მიზნებს არ სახავენ და უმწვავესი ოპონირების (ზოგჯერ არსებითად ხელისშემშლელიც) პირობებში შესაბამისი

ეპოქებისათვის დამახასიათებელ შესაძლოდ ობიექტურ რეკომენდაციებს საზღვრავენ მასიური დასაქმების, ინვესტიციებისა და ოპტიმალური ფულადი მიმოქცევის საკითხებზე.

ქეინზიანიზმის IS-LM-BP და ინფლაცია–უმუშევრობის მოდელებში ჩემი კვლევებით რეკომენდირებულ იქნა ობიექტური ნების (მ. შ. ციკლური) მოქმედებისა და სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის გათვალისწინების მიზანშეწონილობა გრძელვადიანი სტრატეგიისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში კი განსაკუთრებით მისანიშნებელია, რომ მსოფლიოს ნორმალური ეკონომიკურ ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია საერთაშორისო ანტიმონოპოლიური ფრონტის გააქტიურება (აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზგასმით გამოვყოფთ შრომას „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ეფექტიანი მენეჯმენტის მექანიზმები“, ქაშვეთში მოღვაწე მამა საბას (ღვთისოს შალიკაშვილი) კურთხევით). ეკონომიკური პოტენციალის დაგროვების მიუხედავად, ფარული მონოპოლიების არსებობა ახანგრძლივებს სიღარიბის პოლარიზებასა და დიდ განსხვავებას ცხოვრების დონეებში (შემოსავლებში), ხანგრძლივობასა და, ჩემი აზრით, მრავალგანზომილებიან შინაარსში, რამაც, საბოლოო ჯამში, ადამიანების სულიერად და მატერიალურად სრულყოფილი ცხოვრების ხარისხი უნდა განაპირობოს.

შეინიშნება პირდაპირი კავშირი ქვეყნის ცხოვრების დონეს (შემოსავლები ერთ სულზე) და საშუალო ხანგრძლივობას შორის, თუმცა, ჩემი აზრით, არანაკლებ არსებითია სრულყოფილი (შინაარსიანი) ცხოვრებით მოღვაწე ადამიანების მრავალმხრივი კვალის გავლენა. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები, რომლებსაც შედარებით დაბალი შემოსავლები აქვთ, პროგრესული საჭიროდ ინტერესიანი (ცნობისმოყვარე) ცხოვრებით მოღვაწეობის შემთხვევაში, მეტი სასიკეთოს გაკეთებას ასწრებენ.

ეკონომიკაში განსაკუთრებით არსებითია ცხოვრებისეული მოვლენების ახლებურად ხედვა და შესაბამისი ნოვაციები წარმოებასა და მომსახურებაში, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სიახლეები განსაკუთრებით მოთხოვნას ასტიმულირებს და შესაბამის

ინტერესებსაც ამძაფრებს, ამასთანავე, გარკვეული ეკონომიკური დოგმები და მექანიზმები, რომლებიც, შესაძლოა, მრავალი წელი ეფექტიანი შედეგებით გამოირჩეოდა, პერიოდულად, პოლარულად ან ნაწილობრივ განსხვავებული ახალი ჭეშმარიტებით შეიძლება შეიცვალოს.

გლობალური კონკურენციის ეპოქაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით აქტუალურია ფარული მავნე „საერთაშორისო“ მონოპოლიების საერთაშორისო მონიტორინგი და დეზორიენტაცია, თუმცა, ანტიკარტელური პოლიტიკის ფლაგმან აშშ-იც კი მოქმედებენ თეორიულად და პრაქტიკულად „შეიარაღებული“ ძალები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა სუბიექტური და კორუმპირებულია და მხოლოდ ხელს უშლის ახალი (ობიექტური) საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოქმნასა და მის თანმდევ პროცესებს.

აღნიშნული პოზიცია, ჩვენი აზრით, არათუ მცდარია, არამედ, მეტად საზიანოცაა, ვინაიდან, ფაქტია, რომ მზარდი ფარული მონოპოლიები განაპირობებს მზარდ საფრთხეს კაცობრიობისათვის და, განსაკუთრებით, ისედაც ღარიბი მოსახლეობისათვის. რაც შეეხება შესაძლო კორუფციას, ამ შემთხვევაში, კორუფციას უნდა ვებრძოლოთ და არა საზიანო მონოპოლიებს წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს. ისტორიულად, კორუფცია პოლიციასა და საბაჟო სამსახურებშიც ვლინდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაცობრიობამ ხსენებულ მომსახურებაზე (საზოგადოებისათვის ზოგადად და მისი ცალკეული წევრის დასაცავად) უარი უნდა თქვას.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ პირადად თავის თავზე იგრძნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის სფეროში მიმდინარე ის სასიკეთო ძვრები, რაც ჯანდაცვის სფეროს გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელდა. მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი სახსრები იქნა მიმართული ამ მიმართულებით და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევას. ფაქტიურად სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ იქნა ყველა მოქალაქე და მათ შეუფერხებლად უნაზღაურებს სახელმწიფო ბიუჯეტი დაზღვევის ხარჯებს, რაც, თავის

მხრივ, რა თქმა უნდა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და, შედეგად, ეკონომიკის წინსვლას ემსახურება და ისახავს მიზნად.

საბიუჯეტო სახსრების ამ მიზნით მიმართვის იმდენად მკვეთრ ზრდას ჰქონდა ადგილი უკვე 2013 წელს, წინა წლებთან შედარებით, რომ, სადაზღვევო კომპანიები და შესაბამისი კლინიკები არც აღმოჩდნენ მზად მათთვის განკუთვნილი მომსახურების მაღალ დონეზე მისაღებად და შესასრულებლად. თავის მხრივ, მძიმე მდგომარეობაში დატოვა ეს კომპანიები წინა ხელისუფლებამ, უხეშად ერეოდა რა მათ მუშაობაშიც, სხვადასხვა პროექტების და ვალდებულების თავს მოხვევის გზით, თუმცა, საბოლოოდ ასეთი პროცესები ორმხრივად შეთანხმების გზით მთავრდებოდა?!

რადგან სადაზღვევო კომპანიები და კლინიკათა (ჰოსპიტალთა) არცთუ მცირე ნაწილი ცუდი ფინანსური მდგომარეობით შეხვდნენ რეფორმის დასაწყისს, მათ თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება სამწუხაროდ საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე გადაწყვიტეს, რის გამოც ხდება სამედიცინო საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული გასაწევი თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების ფასების სერიოზული ,,გაბერვა" და ამის ხარჯზე საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მცდელობები, რაც იმდენად მასშტაბურ სახეს იღებს, რომ დღის წესრიგში დგება ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმისა, მით უმეტეს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სახსრების მაკონტროლებელი მთავარი ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც ჩანს, პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ ან არ ასრულებს თავის ფუნქციას - სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის გასაკონტროლებლად.

შექმნილ მდგომარეობში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ჯანდაცვის სფეროს მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის და სოციალური ბიუჯეტის მართვის საინფორმაციო სისტემის შემდგომ სრულყოფას, რაც თავის მხრივ ამ მიმართულებით მენეჯმენტის ეფექტიანობის და კონტროლის გაზრდასაც შეუწყობს ხელს. მეგობარი ქვეყნების სერიოზული ხელშეწყობით და შესაბამისი დონორების დახმარებით საქართველოს მთავრობამ ჯანდაცვის სფეროს მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პროექტის შექმნა ჯერ კიდევ 2011 წლიდან დაიწყო და არც თუ

ცუდი ნაბიჯები იქნა გადადგმული ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში. სახეზე გვაქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს კარგად აგებული საინფორმაციო ვებსაიტი, რომელიც ინფომაციის კარგი წყაროა ყველა იმ პიროვნებისთვის, ვისაც ხელი მიუწვდება ინტერნეტ სივრცეზე, გაეცნოს ამ სფეროს ყველა სიახლეს და შესაბამის მომსახურებებს.

იგი სასარგებლოა როგორც პაციენტებისთვის, ასევე, სადაზღვევო კომპანიებისთვის და მათი მომსახურებით დაინტერესებულთათვის, ყველა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის და მათი მომსახურეობით დაინტერესებულთათვის და თვით სამინისტროს მუშაკებისთვისაც შესაბამისი მენეჯმენტის განსახორციელებლად.

თუ სამართალდამცავ და თავდაცვის სპეციფიკურ სამინისტროებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო იმ სამინისტროდ წარმოგვიდგება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდ სახსრებს მოიხმარს და, სხვა სამინისტროებისაგან განსხვავებით, უშუალოდ მოსახლეობის უმწვავესი ყოველდღიური საჭიროებებისათვის - მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სოციალური დაცვის მიზნით ზრუნავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოებას, რომ, ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს და ფართომასშტაბიანი გახდეს, რათა მოხერხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი და სუბსიდირებული ამ უზარმაზარი თანხების და შესაბამისი პროგრამების როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესება, გაიზარდოს ჯანდაცვის დაფინანსების გამჭვირვალობა და შემცირდეს თანხების მითვისება, რისთვისაც ამ ერთიანმა საინფორმაციო სისტემამ უნდა უზრუნველყოს თაღლითური შემთხვევების გამოვლენის ფაქტები და შემდგომში მათი პრევენციულად აღკვეთა.

ზემოაღნიშნული პრობლემის დარეგულირების ერთ-ერთი გზაა უკვე არსებულ ვებსაიტზე მოხერხდეს წვდომა და შეიქმნას მონაცემთა ტრანსფარენტული ბაზები

სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვეულთა მიმართ ფაქტიურად განხორციელებულ მომსახურების თაობაზე, ანუ, კლინიკების (ჰოსპიტალების) მიხედვით, კონკრეტული პიროვნებების მიმართ ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების თაობაზე, ყოველდღიური ხარჯთაღრიცხვის გაწერით, კონკრეტული პიროვნებების მიმართ განხორციელებულ მომსახურებაზე, რისთვისაც უნდა მოეწყოს შესაბამისი ბაზები და მიებას ერთიან საინფორმაციო სისტემას.

აღნიშნული საშუალებას მისცემს თვით დაზღვეულებს გადაამოწმონ რეალურად მიღებული მომსახურების სისწორე და აღმოაჩინონ გაფლანგვები და ,,გაბერვები'' ჩატარებულ მომსახურებაში. მეორეს მხრივ, სამინისტროს მენეჯმენტს საშუალება ექნება თვალნათლივ შეადაროს და გაანალიზოს კონკრეტული მომსახურებები კლინიკების (ჰოსპიტალების) მიხედვით და უზრუნველყოს სათანადო ეფექტიანი მონიტორინგი შექმნილი სურათის მიხედვით.

უწმინდესი ილია II-ს ბრძნული ქადაგებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ გამოგვეთქვა მოსაზრება ცენტრისა და ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების ურთიერთობის საკითხზე. ვფიქრობთ, ძალზე აქტუალურია და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარემოებას, რომ გადაჭარბებული ცენტრალიზაცია დიქტატურის წინაპირობაა, რაც დამანგრევლად მოქმედებს მეწარმის განწყობილებასა და ზოგადად ბიზნესზე. ასევე, საგანგაშოა გარემოება, როცა ცენტრი იმდენად უსუსურია, რომ თვითმმართველობებთან საჭირო კონტაქტს კარგავს. შესაბამისად, მართვის ხელოვნება (ამ მხრივ და ბიზნესის ტერიტორიული დისპროპორციების აღმოფხვრაშიც) ხსენებული ურთიერთობის ოპტიმალური წონასწორობის დამყარებაში უნდა გამოიხატოს, რაც, როგორც სახელმწიფომ, ასევე მზარდმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა უნდა გაითვალისწინოს.

ბიზნესის ეფექტიანობის შეფასებისათვის, ვფიქრობთ, უპირველესად უნდა გამოვიყენოთ ე.წ. ROC და ROE მაჩვენებლები, ანუ ოპერაციული მოგების შეფარდება გაწეულ ხარჯებთან და წმინდა მოგების შეფარდება პერსონალის რაოდენობასთან, ვინაიდან, ეს მაჩვენებლები, შესაძლოდ სრულად ასახავენ ხარჯებისა და კადრების

რაციონალურად გამოყენებას. რაც შეეხება ამ გამოყენების გაუმჯობესების საკითხს, განსაკუთრებით აქტუალურად მიმაჩნია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა და ე. წ. ეკონომიკური კონსტიტუციის – საგადასახადო კოდექსის შედარებით "მუდმივ" კონდიციამდე სრულყოფა, რამაც, როგორც ცნობილია, ბირთვული ენერგიის მსგავსი სასიკეთო გავლენა შეიძლება მოახდინოს ეკონომიკაზე.

ქსელური მენეჯმენტის შესახებ ჩვენი მწვავედ აქტუალური შრომის გამოქვეყნების შემდეგ, გააქტიურდა დებეტები, თუ რა ეკონომიკურ პრიორიტეტებს უნდა მიექცეს მასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება. დებატებში მონაწილეობას იღებენ როგორც სწავლული ეკონომისტები, აგრეთვე, რაც არანაკლებ სასიხარულოა, ნიჭიერი სტუდენეტებიც. წარმოდგენილი შრომა სწორედ მათი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. სტუდენტებმა წარმოადგინეს კონკრეტული ბიზნეს-გეგმები და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ მოსაზრებები და მათ შორის საუკეთესოთა შერჩევის გზით, თავი მოვუყარეთ განზოგადებულ დასკვნებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

გაეროსა და ევროპული სტანდარტებით, ბიზნეს-გეგმის ზოგადი სტრუქტურული სქემის შემაჯამებელ პარამეტრს რისკის დონე წარმოადგენს. შესაბამისად, კონკრეტულად ნინო სტეფნაძის გეგმის შემთხვევაში, დელფის მეთოდით განსაზღვრული რისკი, 100-ბალიანი გრადაციის ფარგლებში, მხოლოდ 12 ბალის დონეზე აღინიშნა, რამაც თვალსაჩინოდ დაადასტურა ჩვენი ბიზნეს-გარემოს დიდ შესაძლებლობები.

ნ. სტეფნაძემ წარმოადგინა პირობითი ბიზნეს-გეგმა ქართულ-რუსულ-უზბეკურ-უკრაინული სამზარეულოსა და კაფე-რესტორანთა ქსელის შესახებ თბილისში.

1. ბიზნესის აღწერა:

ჩვენი ბიზნესი უნდა იყოს პარტნიორული ორგანიზაცია, დასაწყისში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

მთავარ მიზნად დავისახეთ ადამიანებისთვის ჯანსაღი - სასარგებლო სიამოვნებისა და ემოციების გამომწვევი მომსახურების შეთავაზება.

მსგავსი ტიპის ბიზნესები არსებობს, მაგრამ ეს იქნება განსხვავებული შტრიხის მატარებელი.

მსგავსი გამოცდილების გათვალისწინებით, ბიზნესი უცილობლად იქნება კონკურენტუნარიანი და, გამომდინარე, რენტაბელური - მინიმუმ 28-30%-იანი მარჟით (გამოსყიდვის ვადა, მაქსიმუმ 3 წელი).

2. ბაზარი:

   ჩვენი კლიენტები სეგმენტების მიხედვით იქნებიან ორგანიზებული (მოზიდული), სამზარეულოც დიფერენცირებულად იქნება მათზე მორგებული. ქართული ბაზარი ჯერჯერობით 59-60%-ით დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ხარჯებითაა ტევადი - შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებულ იქნება მათთვის მაქსიმალურად დაბალ ფასებში. დაბალ და საშუალოშემოსავლიანი ფენების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ჩვენი მომსახურების მიღება შეეძლება ნებისმიერ ადამიანს და ბაზარი, ვიმედოვნებთ, გაფართოვდება, მზარდი მოგებიდან გამომდინარე.

3. კონკურენცია:

   კონკურენცია მსგავსი ბიზნესისთვის საკმაოდ დიდია თბილისში (ყველაზე მაღალი რისკ-ვარიაციის კოეფიციენტით), მაგრამ, ვინაიდან, ჩვენი მომსახურების მომხმარებელი იქნება ყველა სეგმენტის ადამიანი, რენტაბელობის უპრიან დონეზე გავალთ. ამასთანავე, ადამიანებს ვთავაზობთ არამარტო სამზარეულოს 4 მშვენიერი ქვეყნის ტრადიციების შეხამების საფუძველზე, არამედ ინოვაციურ კაფე-რესტორნებს და მზარდ რეგიონალურ ფილიალებს. მზარეულები კონტრაქტით იქნებიან მოწვეულნი. მათ დავახელოვნებთ დამატებით და შევასწავლით უნიკალურ უნარ-ჩვევებს ჩვენი ბიზნესის წინსვლისთვის. გამორჩეული დიზაინის მქონე კაფე-რესტორნები დაიყოფა დარბაზებად, სადაც ნებისმიერი სადღესასწაულო დღის აღნიშვნა შეეძლებათ და უბრალოდ ერთი

გემრიელი სადილის მირთმევა შეეძლება წარმატებულ ადამიანებსა და შემთხვევით ტურისტებსაც.

4. მენეჯმენტი:

ჩვენი გამოცდილება არც ისე დიდია ამ სფეროში და არც ვაპირებთ ვიყოთ შეიარაღებულნი დიქტატორული ამბიციებითა და მონოპოლიური მიდრეკილებებით. მზად ვართ კეთილსინდისიერი საჭირო პაექრობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მთავარია. ნებისმიერი კოლეგა შეძლებს თავისი აზრის გამოთქმას და ოპერატიულ მენეჯმენტში ცვლილებების შეტანა მოხდება გუნდური ხმების დათვლის მეთოდის საშუალებით. ბიზნესი იმართება გონიერი პირამიდის დახმარებით, სადაც სათავეში მეწილეები, შემდეგ კი სხვადასხვა დონის კვალიფიციური მენეჯერები იქნებიან. მენეჯმენტში გამოყენებულ იქნება მოწვეული სპეციალისტებისა და ადგილობრივი ეკონომისტების რეკომენდაციები. მენეჯერთა ფენაც მაქსიმალურად იქნება დატრენინგებული და ყურადღებით შერჩეული ამა თუ იმ პოზიციაზე.

5. ქონება და დაფინანსების წყაროები:

ვფიქრობთ, შენობა-ნაგებობები ბიზნესის საწყის ეტაპზე იჯარით უნდა იქნეს აღებული. სანამ ბიზნესი მყარ საფუძველზე არ დადგება, პირველი 3 წელი მოგებიდან წილების განაწილება არ მოხდება და აკუმულირებული მოგება მიემართება მხოლოდ ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტორების კოლექტიური გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენი გათვლებით, მოსალოდნელია სოლიდური ფინანსების მოდინება ბიზნესის შემადგენელი ტრადიციების ქვეყნებიდან. ჩვენი ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი შტრიხი იქნება ის, რომ ადამიანურად მშობლიური გარემო შევუქმნათ მეზობელ ქვეყნებსა და ტურისტებს საერთოდ. ბუნებრივია, ყველა თავისი ქვეყნის სამზარეულოში ერკვევა და ჩვენ ვიცით, რომ საქართველო უნიკალური ტურისტული ქვეყანაა, სადაც მრავალი ეროვნების ადამიანი ჩამოდის და მათთვის აქ ყველაფერი მშობლიურის მსგავსი და არამსგავსის შერწყმით უნდა დავახვედროთ, რაც მათში,

დარწმუნებული ვარ, აღტაცებას გამოიწვევს და უკან დაბრუნების სურვილს გაუჩენს.

ხაზი უნდა გავუსვათ ფაქტორს, რომ თბილისში, სადაც არავის უკვირს სამზარეულოთა რიცხვი და რესტორან-კაფეების მრავალფეროვნება, ჩვენი ქსელი ორიენტირებული იქნება ბუნებრივი რესურსებით ძალზე მდიდარი ოთხი ქვეყნის მსოფლიოში აღიარებულ ტრადიციებზე, კერძების რეცეპტებზე, სასმელების ნაირსახეობაზე, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეულიც და მოვიზიდოთ პროგრესული ტექნოლოგიები და მეთოდები საზღვარგარეთიდან. ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებაში იგულისხება კვალიფიციური კონტროლი საკვებზე, მის მომზადებასა და მიწოდებაზე - არ აქვს მნიშვნელობა ხინკალს ვამზადებთ 50 თეთრად, თუ ძვირადღირებული სამზარეულოს "შეფ-პოვარის" მიერ შემოთავაზებულ კერძ „უხას" ვთავაზობთ, რომლის თევზიც შორეულ კუნძულ კამჩატკაზე დაიჭირეს, მომსახურება იქნება უმაღლესი, დახვეწილი და ყოველმხრივ ეკოლოგიურად სუფთად ორგანიზებული. ასევე, საჭიროა აღინიშნოს, რომ შეიქმნება ლაბორატორია, ეგრეთ წოდებული „რევიზორის" ფუნქციის მატარებელი, რომელიც მაქსიმალურად შეამოწმებს ნედლეულის ვარგისიანობას, კოლექტივის ჩაცმულობას, სისუფთავეს და ყურადღებას მიაქცევს მომხმარებელთა კომენტარებს, იმოქმედებს გაუმჯობესების მიზნებით, რათა შედეგი არსებითი მოგებით დაიდოს.

სტუდენტ სალომე ებრელიძის აზრით, ქსელური მენეჯმენტი ჩვენს მაღალმთიანეთში, მ.შ. სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ეკონომიკის გადარჩენა და წარმატებული სამეწარმეო გარემოს შექმნის წინაპირობაა გრძელვადიან სტრატეგიაში.

საქართველო მრავალფეროვანი რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა და სალომე ებრელიძის კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ცხოვრების დონეში ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია არა რესურსების სიმწირით, არამედ წარსულში გატარებული

ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომებითა და არასათანადო განსწავლულობით მენეჯმენტში. ჩვენი აზრით, ეკონომიკური განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ოჯახური ბიზნესის მასობრივი ხელშეწყობის სახელმწიფო მექანიზმების ამოქმედება უნიკალურ ქართულ მაღალმთიანეთში. მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები ნამდვილად არსებითია, თუმცა ჯერ კიდევ შორს ვართ საბაზრო ავტომატიზმის შეუქცევადი პროცესებისგან.

მიუხედავად ჩვენს მთასა და საერთოდ სხვადასხვა მხარეში შენარჩუნებული ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად სტაგნაციური პრობლემებისა, აქ ახლადფეხადგმული ბიზნესის მოსალოდნელი შედეგების რისკვარიაციის ინდექსები ყველაზე დაბალი აღმოჩნდა (როგორც წესი, 10 პროცენტამდე), რაც ჩვენი არჩევანის დიდ პოტენციასა და პერსპექტივაზე მეტყველებს.

სალომე დუშეთის რაიონ სოფელ ანანურიდანაა და გადაწყვიტა წამოიწყოს მცირე ტურისტულ-რეკრეაციული საოჯახო ბიზნესი. მოგეხსენებათ, ანანური საკურორტო ზონადაა მიჩნეული. მას ამშვენებს ულამაზესი მთები და აქაური ჰაერი - მაქსიმალურად სუფთა და ჯანსაღია. აქვეა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და ჟინვალის წყალსაცავი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქ თბილისის წყლით მომარაგების საკითხში.

ოჯახური ბიზნესისათვის იქმნება მაქსიმალურად სრული კომფორტი ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, რასაც 15 ათასი ლარი დასჭირდება. მინიმალური ROC (Return on Cost, მოგება ხარჯებთან პროცენტებში) რენტაბელობა, ჩვენი გაანგარიშებით - მეზობლად არსებული მსგავსი A და B ობიექტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, 25%-ის დონეს მიღწევს პირველივე წელს და ზაფხულის სეზონზე დღიური და სხვა პერიოდებში 2-3 კვრიანი ტურებით ანაზღაურების შედეგად, ჩადებული ინვესტიციის ამოღებას, მაქსიმუმ, 4 წელიწადში ელოდებიან. ეს ჯანსაღი და რენტაბელური ბიზნესია და, რაც მთავარია, ჩვენს მაღალმთიანეთში უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

References

1. The United Nations Industrial Development Organization. - https://www.unido.org

2. The European Bank for Reconstruction and Development. - http://www.ebrd.com

3. Lordkipanidze R., Chlaidze D., Khatiashvili G., Lordkipanidze M., Lordkipanidze S., etc. Innovative unordinary management and marketing for the nearest strategy. – Tbilisi, 2014.

4. Revaz Lordkipanidze, David Chlaidze, Nino Stepnadze, Salome Ebrelidze. Network Management and Priorities of Economic Development. - Modern Issues of Medicine and Management. 2017. N 4: 61-67 (ISSN 1512-4169 Quarterly, International, Refereed, Peer-reviewed Collected Scientific Works)

5. Lordkipanidze R. Competitive International Business and Effective State Neuroeconomic Mechanisms (Textbook: Fundamental Principles from Monographic Researches for Students and Specialists of Economics, Public Administration and Marketing). Dedicated to the Bright Successful for Peace Negotiations of the United States and North Korea in the Most Dangerous Era of Nuclear Competition. - Tbilisi. 2018.